ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7415320

ნომერი: AR11081032

თარიღი : 07.03.2025

გაცემის თარიღი : 18.03.2025

გაცნობის თარიღი : 18.03.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბეჟანიშვილი , N 11;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლუკა ჩაგანავა პ/ნ 01017043074
- სავანელის #18

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 12 დეკემბრის №7324321 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 7 მარტს №AR11081032 განცხადებით მომართა ლუკა ჩაგანავამ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 12 დეკემბრის

№7324321 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 2 ოქტომბრის №6689997 ბრძანებით შეთანხმდა, №01.12.12.005.001 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება. ხოლო, სამსახურის 2024 წლის 12 დეკემბრის №7324321 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2024 წლის 12 დეკემბრის №7324321 ბრძანების სატიტულო ინფორმაციაში მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ის ველში, მესაკუთრე(ები)ს გრაფაში დაფიქსირებულია მიწის ნაკვეთის მხოლოდ ერთი მესაკუთრე - შპს „ახალი ქსელები“ (ს/ნ: 211326732). შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნულის ტექნიკური შეცდომის გასწორება და საპროექტო მიწის ნაკვეთის ყველა თანამესაკუთრის დაფიქსირება.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (რეგისტრაციის ნომერი: №882024339476, მომზადების თარიღი: 26/03/2024 წ.) თანახმად, სამსახურის 2024 წლის 12 დეკემბრის №7324321 ბრძანების გამოცემის დროს, №01.12.12.005.001 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს წარმოადგენდნენ დარიკო პაპუაშვილი (პ/ნ: 01027034730), შპს „ახალი ქსელები“ (ს/ნ: 211326732) და შპს „ბუბუ 2005“ (პ/ნ 406190269).
სამსახურის მიერ დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ სამსახურის 2024 წლის 12 დეკემბრის №7324321 ბრძანებაში მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ის ველში მესაკუთრე(ები)ს გრაფაში ავტომატურად აისახა საპროექტო მიწის ნაკვეთის მხოლოდ ერთი მესაკუთრე შპს ,,ახალი ქსელები" (ს/ნ: 211326732). შესაბამისად, შესაძლებელია შეთანხმებულ ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება და №01.12.12.005.001 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ყველა თანამესაკუთრის დაფიქსირება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 12 დეკემბრის №7324321 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 12 დეკემბრის №7324321 ბრძანებაში და ბრძანების სატიტულო ინფორმაციაში, მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ის ველში, მესაკუთრე(ები)ს გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: დარიკო პაპუაშვილი (პ/ნ: 01027034730), შპს ,,ახალი ქსელები" (ს/ნ: 211326732) და შპს „ბუბუ 2005“ (პ/ნ 406190269).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 12 დეკემბრის №7324321 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 12 დეკემბრის №7324321 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.